# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

15.04.2013 წელი

ეგზ. 2

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი**

**აუდიტის ანგარიში N 2/105**

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

### აუდიტის ანგარიში

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა** ....................................................... 4
**აუდიტორის პასუხისმგებლობა** ....................................................... 5
**პირობითი მოსაზრების საფუძვლები** ....................................................... 5
**პირობითი მოსაზრება** ....................................................... 9
**სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები** ....................................................... 9
ფინანსური ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები ....................................................... 9
შიდა კონტროლების სისუსტეები: ....................................................... 9
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები: ....................................................... 10
ბიუჯეტის შესრულება ....................................................... 10
ხელფასი ....................................................... 10
შტატგარეშე თანამშრომლები ....................................................... 11
წარმომადგენლობითი ხარჯები ....................................................... 12
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაცია-შენახვის ხარჯები ....................................................... 13
შესყიდვების შესახებ ....................................................... 13
**ანგარიშგების ფორმები** ....................................................... 14

61

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**მთავრობის აპარატის ხელმძღვანელობას:**

| | |
|---|---|
| **მთავრობის თავმჯდომარეს** | **არჩილ ხაბაძეს** |
| **აპარატის უფროსს** | **ირაკლი ჭეიშვილს** |

62

## აუდიტის ანგარიში

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს მთავრობის აპარატის საქმიანობას, საბალანსო ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: ხარჯებს ეკონომიკური კლასიფიკაციით, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციებს, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციებს, წმინდა ღირებულებას, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას, ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზურ აღრიცხვაზე. ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებს.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით (განზრახ არამართლზომიერი ქმედებით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების(ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მთავრობის აპარატის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. ადგილი აქვს მთავრობის აპარატის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის ფაქტებს. კერძოდ: ხშირია ფაქტები როდესაც ერთი ვიზიტის ფარგლებში სტუმრების სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება გაწეულია სხვადასხვა რაოდენობის სტუმრებზე, დელეგაციების ვიზიტებისა და ღონისძიებების ორგანიზების დროს, არ არის აღრიცხული მონაწილე პირთა შემადგენლობის სახელობითი მონაცემები,

შესაბამისად შეუძლებელია დადგინდეს ღონისძიების მონაწილე პირთა იდენტურობა, რაც თავის მხრივ არ იძლევა საშუალებას დადგინდეს წარმომადგენლობითი ხარჯების აღრიცხვის სისწორე, ეკონომიურობა და მიზანშეწონილობა[1].

2. ქ. ბათუმში, ასათიანის ქუჩა N37 -ში არსებული ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია-დაშენების სამუშაოთა წარმოების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ 2011 წლის 17 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადება NSPA110021756.), რომელშიც მონაწილეობდა სამი კომპანია: შპს „ანაგი", შპს „თბილისი-2" და შპს „ნიუ კონსტრაქშენი". ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნიუ კონსტრაქშენი", რომელმაც ერთლარიანი ფასის სხვაობით აჯობა კონკურენტ შპს „თბილისი-2". 2011 წლის 21 სექტემბერს, ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტ შპს „ნიუ კონსტრაქშენსა" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N143. სახელშეკრულებო ღირებულება 6 499,9 ათასი ლარით, სამუშაოთა შესრულების ვადა 2012 წლის 1 მაისით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი 2012 წლის 1 ივნისით განისაზღვრა.

   აღნიშნული ხელშეკრულების შესრულებაზე საავტორო ზედამხედველობისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, 2011 წლის 21 სექტემბერს გამარტივებული შესყიდვის ფორმით ხელშეკრულებები გაფორმდა შპს „კონსტრუქტორი-21"-თან და სს „აჭარკაპმშენთან", შესაბამისად 13,0 და 45,0 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან აღსანიშნავია, რომ სს „აჭარკაპმშენზე", სახელშეკრულებო თანხის 100%, ჩარიცხულია ავანსის სახით, შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის საფუძველზე, თუმცა ხელშეკრულების საგანისა და შესასრულებელი მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე (ტექნიკური ზედამხედველობა) ავანსად თანხის 100%-ის ჩარიცხვის აუცილებლობა ვერ დასტურდება.

   ქ. ბათუმში, ასათიანის ქუჩა N37-ში არსებული ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია-დაშენების სამუშაოთა წარმოების პროცესში არაერთხელ შეიცვალა დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოთა არამარტო მოცულობები, არამედ სამუშაოთა სახეობები. აღნიშნული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაუარესებულია შემსყიდველის პირობები. კერძოდ: ფანჯრის ქვეშა რაფების მოწყობა, ნაცვლად თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მარმარილოს ფილებისა, განხორციელდა

[1] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება. მუხლი 5, პუნქტი 6

ცემენტის მჭიმით; ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემის ნაცვლად, დამონტაჟდა ელექტროგათბობის სისტემა; სახურავი, ნაცვლად ქერცლისებური სპილენძის ფურცლებით მოწყობისა, განხორციელდა ლითონის კრამიტის ფურცლებით და ა.შ. ხარჯთაღრიცხვაში ახლად გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობები და კალკულაცია ერთეულის ფასის გაანგარიშებაზე შედგენილია მხოლოდ მომწოდებლის მიერ და მის განსაზღვრაში მონაწილეობას არ ღებულობდა არც შემსყიდველი და არც საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისათვის დაქირავებული იურიდიული პირები. აღსანიშნავია, რომ შპს „კონსტრუქტორი 21" -თან, 2011 წლის 15 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მომწოდებლის მიერ შედგენილი და მიწოდებული იქნა ასათიანის ქ. N37-ში არსებული ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია-დაშენების სამშენებლო დოკუმენტის პროექტის სრული კომპლექტი, რისთვისაც გადახდილი იქნა 58,7 ათასი ლარი. აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც შიდა დიზაინ-პროექტსაც მოიცავდა, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა სამუშაოთა შემსრულებელი, თუმცა 2012 წლის 20 იანვარს, შპს „მემუარი@კომპანიასთან", გამარტივებული შესყიდვის ფორმით, გაფორმდა ხელშეკრულება ახალი შიდა დიზაინ-პროექტის დამზადებისა და მოწოდების შესახებ. რითაც მთლიანად შეიცვალა შენობის შიდა დიზაინ-პროექტი, რისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით გადახდილი იქნა 33,0 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ გამოყენებას წარმოადგენს.

შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები ასახული იქნა კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში და მხარეებს გადაეგზავნათ 2012 წლის 3 ივლისს, რომლის შესაბამისადაც რეკონსტრუქცია-დაშენების სამუშაოთა სრული ჯამური ღირებულება 5 919,7 ათასი ლარს შეადგენდა. შემდგომ ისიც შეიცვალა, თუმცა საბოლოო კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა არ შედგენილა, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ კი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს" საექსპერტო დასკვნის შესაბამისად 6 235,4 ათასი ლარი შეადგინა. ზემოთ აღნიშნული ცვლილებები არ ატვირთულა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში[2].

ქ. ბათუმში, ასათიანის ქუჩა N37 -ში არსებული ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია-დაშენების სამუშაოთა წარმოების შესახებ 2011 წლის 21 სექტემბერს, შპს „ნიუ კონსტრაქშენთან" გაფორმებულ N143 ხელშეკრულებაში

[2] შეუსრულებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 20-ე მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები

შევიდა 2 ცვლილება, შესასრულებელ სამუშაოთა ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

პირველ ცვლილებას, რომელიც 2012 წლის 1 მაისს განხორციელდა, საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ დროულად ვერ მოხერხდა შიდა დიზაინის პროექტისა და საქვაბის ნახაზებისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუმცა აღნიშნულის საპირისპირო მოტივია მითითებული 29 ივნისს გაფორმებულ შეთანხმებაში, რომ სწორედ რეკონსტრუქცია-დაშენების სამუშაოთა მშენებლობის შეფერხებამ გამოიწვია, შპს „მემუარი @ კომპანიის" მიერ 2012 წლის 20 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფერხება, ხოლო რაც შეეხება საქვაბეს, ის საერთოდ არ აშენებულა.

მეორე ცვლილებას, რომელიც 2012 წლის 29 ივნისს განხორციელდა, საფუძვლად დაედო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საექსპერტო დასკვნა N1/273, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2012 წლის 1 მაისის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების თავდაპირველი ვადა) მდგომარეობით შეუსრულებელი სამუშაოების დასრულებისათვის არასაკმარისია 60 კალენდარული დღე, რომელიც პირველი შეთანხმებით იქნა განსაზღვრული და დამატებით 40 კალენდარული დღის დამატებაა საჭირო. მოცემულ შემთხვევაში სავაჭრო-სამრეწველო პალატა ადასტურებს რომ შემსრულებლმა, 2012 წლის 1 მაისის მდგომარეობით, ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დიდი მოცულობა და ამასთან ამ დასკვნაში, შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალში განხილულია ისეთი სამუშაოები, რომლებიც შესრულებულადაა ნაჩვენები სამუშაოთა შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტებში.

ამრიგად, ჩვენი მოსაზრებით, ქ. ბათუმში, ასათიანის ქუჩა N37-ში არსებული ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია-დაშენების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოთა შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ ზემოთ მითითებული შეთანხმებები საფუძველს მოკლებულია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს, აუდიტის პერიოდში შტატგარეშე თანამშრომლად აყვანილი ჰყავდა 15 თანამშრომელი. აქედან 12 შტატგარეშე თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას მოქმედების ვადა

არ აქვს განსაზღვრული, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ"[3].

## პირობითი მოსაზრება

აუდიტის დეპარტამენტის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების" საკითხების შესაძლო გავლენისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2010 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად და განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება კანონმდებლობას.

## სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

### ფინანსური ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

**შიდა კონტროლების სისუსტეები:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში დანერგილი სუსტი შიდა კონტროლის სისტემა განაპირობებს მისი ფუნქციონირების დაბალ ხარისხს, რაც გამოიხატება შემდეგი ნაკლოვანებების სახით:

1. აუდიტის პერიოდში მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებისათვის საწვავი გაიცემოდა წინასწარ განსაზღვრული ნორმების გარეშე და გაცემული საწვავის ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის არ

[3] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" მუხლი 8

არსებობის პირობებში ხარჯებად აღიარება ხდებოდა ფაქტობრივად გაცემული რაოდენობით.

2. არასათანადო კონტროლი იყო დაწესებული წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევაზე, რაც გამოიხატება ღონისძიების ორგანიზების დროს დამსწრე და მონაწილე დელეგატების აღრიცხვის სისტემის არ არსებობაში.

3. დელეგაციების და ვიზიტების დროს, დელეგაციის წევრებზე გადასაცემი საჩუქრების საწყობიდან გატანა ხდება ორგანიზატორი თანამშრომლის სახელზე, რომელიც შემდგომ თავისივე მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოითხოვს აღნიშნული ნივთების ჩამოწერას, რაც წარმოშობს ავტორიზაციის რისკს.

**ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები:**

**ბიუჯეტის შესრულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს დაზუსტებული ბიუჯეტის შესაბამისად, 2012 წლის ასიგნება 7962,9 ათასი ლარით განესაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული იქნა 7780,3 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 97,7 პროცენტით და გეგმის შესრულებას დააკლდა 182,6 ათასი ლარი. კერძოდ: ხარჯების მუხლით განსაზღვრული ბიუჯეტის გეგმის შესრულებას დააკლდა 152,8 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კუთხით კი - 29,8 ათასი ლარი. ხარჯების სახით აუთვისებელი თანხიდან 148,3 ათასი ლარი, აუთვისებელი საერთო თანხის 97 პროცენტი, მოდის საქონელი და მომსახურების მუხლზე.

დაზუსტებული ბიუჯეტის შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასახდელი საწევროების ასიგნებების სახით გათვალისწინებული იქნა 21,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ამ სახეში საკასო შესრულება 15,4 ათას ლარს შეადგენს, ანუ გეგმა შესრულებულია 73,3 პროცენტით და გეგმის შესრულებას დააკლდა 5,6 ათასი ლარი.

**ხელფასი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლით განესაზღვრა 1 995,1 ათასი ლარი. დამტკიცებული საშტატო განრიგის გათვალისწინებით აღნიშნული თანხიდან სახელფასო ფონდი შეადგენს 1 496,3 ათას ლარს, ხოლო საპრემიო ფონდი კი - 498,8 ათას ლარს. სააუდიტო პერიოდში

საშტატო განრიგში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შრომის ანაზღაურების ფონდი გაიზარდა 587.5 ათასი ლარით და 2 582,6 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის ხელფასის ფონდი გაიზარდა 7,4 პროცენტით და 1 607,2 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საპრემიო ფონდი გაიზარდა 95,5 პროცენტით და 975,4 ათასი ლარი შეადგინა. საპრემიო ფონდის აღნიშნული რაოდენობით ზრდის განმსაზღვრელი რაიმე სახის დოკუმენტი აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

**შტატგარეშე თანამშრომლები**

შტაგარეშე მოსამსახურეების მიერ აუდიტის პერიოდში შესრულებული სამუშაოების შესახებ დოკუმენტური ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. დაწვრილებითი ინფორმაცია შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

2012 წელს მთავრობის აპარატის მიერ შტატგარეშე თანამშრომლებზე გაწეული შრომის ანაზღაურების შესახებ

| N | სახელი გვარი | თანამდებობა | ხელშეკრულების N და თარიღი | მოქმედების ვადა | ხელფასი | სულ დარიცხული |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | გურგენიძე მინდია | მთავარი სპეციალისტი | N27 27 აგვისტო 2012 | უვადო | 1650 | 6600 |
| 2 | მიქელაძე თეა | მთავარი სპეციალისტი | N26 27 აგვისტო 2012 | უვადო | 1650 | 6600 |
| 3 | ვიშნევსკა ანეტა ჯოანა | მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე | N20 03 იანვარი 2012 | 01.01.2013 | 4500 | 42545 |
| 4 | ფაღავა შოთა | მრჩ. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე | N14 11 თებერვალი 2009 | უვადო | 700 | 8400 |
| 5 | ნაცვალაძე რევაზი | კომისიის წევრი | N17 11 თებერვალი 2009 | უვადო | 700 | 8400 |
| 6 | გოგიტიძე ჯემალი | კომისიის წევრი | N15 11 თებერვალი 2009 | უვადო | 500 | 6000 |
| 7 | ხორავა საშა | კომისიის წევრი | N16 11 თებერვალი 2009 | უვადო | 500 | 6000 |
| 8 | შენგელია შოთა | კავშირგაბმულობის ოსტატი | N19 03 იანვარი 2012 | 01.01.13 | 250 | 3000 |
| 9 | ხარებავა მაყვალა | მრჩეველთა საბჭოს წევრი | N29 27 აგვისტო 2012 | უვადო | 1650 | 19740.6 |
| 10 | დინდერი ილქერი | მრჩეველთა საბჭოს წევრი | N28 27 აგვისტო 2012 | უვადო | 1650 | 19740.6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | გორგილაძე სალომე | მრჩეველთა საბჭოს წევრი | N25 02 დეკემბერი 2011 | უვადო | 1000$ | 15548.6 |
| 12 | ლებანიძე ტარიელი | მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე | N25 27 აგვისტო 2012 | უვადო | 3800 | 15200 |
| 13 | გათენაძე დავითი | მრჩეველთა საბჭოს წევრი | N30 27 აგვისტო 2012 | უვადო | 800 | 3200 |
| 14 | ბაკურიძე ჯონი | მრჩეველთა საბჭოს წევრი | N22 25 აპრილი 2012 | უვადო | 1000$ | 1981 |
| 15 | კოლჩევა ლუდმილა | მრჩეველთა საბჭოს წევრი | N23 22 მაისი 2012 | 22.11.2012 | 1000$ | 5527 |
| | **ჯამი** | | | | | **168482.8** |

**წარმომადგენლობითი ხარჯები**

მთავრობის აპარატის 2012 წლის ხარჯებში ყველაზე მოცულობითია წარმომადგენლობითი ხარჯები სულ 771,3 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯები წლების მიხედვით მზარდი დინამიკით ხასიათდება, ქვემოთ მოცემული დიაგრამის სახით წარმოგენილია აღნიშნული ხარჯების დინამიკა;




დელეგაციების და ვიზიტების დროს, დელეგაციის წევრებზე გადასაცემი საჩუქრების საწყობიდან გატანა აღრიცხულია ღონისძიების ორგანიზატორი თანამშრომლის სახელზე, რომელიც შემდგომ თავისივე მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოითხოვს აღნიშნული ნივთების ჩამოწერას, რაც წარმოშობს ავტორიზაციის რისკს.

## შესყიდვების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს 2012 წელს, საქონელისა თუ მომსახურების შესყიდვის მიზნით, გაფორმებულია აქვს სულ 103 ხელშეკრულება, რომელთა საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 1 362,1 ათას ლარს შეადგენს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმებით დადგენილია, რომ ადგილი აქვს მომსახურების სახელშეკრულებო ვადებში შეუსრულებლობის ფაქტს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად პირგასამატეხლოს სახით დარიცხვას ექვემდებარება 1,6 ათასი ლარი.

| N | ხელშეკრულების ნომერი | მომწოდებელი | სახელშეკრულებო თანხა | მიწოდების სახელშეკრულებო თარიღი | ფაქტიურად მიწოდების თარიღი | შეუსრულებელი /მიუწოდებელი საქონელი/მომსახურების ღირებულება | დაგვიანებულ დღეთა რაოდენობა | პირგასამტეხლოს ოდენობა | დარიცხვას დაქვემდებარებული პირგასამტეხლო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 14 | შპს " მემუარი@კომპანია" | 33000 | 10.08.2012 | 12.10.12 | 5000 | 62 | 0.50 | 1550 |
| | | ჯამი | | | | | | | **1550** |

აუდიტორი/იონა წითელაძე/ ი. წითელაძე

აუდიტორი/გოჩა შარაბიძე/ [signature]

თარიღი: 12.04.2013წ.

72

# ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N 1

## ორგანიზაციის ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი**

ზომის ერთეული: ლარი

**2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**

| კოდი | აქტივები | ანგარიშის ნომერი | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | **I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები** | | | |
| 010 | ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში | 1110 | | |
| 020 | ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში | 1120 | | |
| 030 | მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 1210 | | |
| 040 | მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში | 1220 | | |
| 050 | სადეპოზიტო ანგარიში ბანკში | 1230 | | |
| 060 | სხვა ანგარიშები ბანკში | 1240 | | |
| 070 | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის | 1250 | | |
| 080 | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში | 1260 | | |
| 090 | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში | 1270 | | |
| 100 | ხაზინის სავალუტო ანგარიში | 1280 | | |
| 110 | სხვა ანგარიშები ხაზინაში | 1290 | | |
| 120 | ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა | 1310 | | |
| 130 | მოკლევადიანი სესხები | 1320 | | |
| 140 | აქციები და სხვა კაპიტალი | 1330 | | |
| 150 | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 1340 | | |
| 160 | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები | 1351 | | |
| 170 | არასაბიუჯერტო სესხებზე დარიცხული პროცენტები | 1352 | | |
| 180 | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები | 1353 | | |
| 190 | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით | 1354 | | |
| 200 | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით | 1355 | | |
| 210 | გადახდილი დღგ | 1356 | | |

73

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 220 | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 1357 | | |
| 230 | სხვა საგადასახადო აქტივი | 1358 | | |
| 240 | მოთხოვნები ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების დანაკლისებით | 1359 | | |
| 250 | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები | 1360 | | |
| 260 | მოთხოვნები ბარტერით | 1410 | | |
| 270 | მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ | 1420 | | |
| 280 | მოთხოვნები წინასწარი გადახდებით | 1430 | 2843472 | |
| 290 | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით | 1440 | | |
| 300 | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები | 1450 | | |
| 310 | მომუშავეების მიმართ მოთხოვნები | 1460 | 84 | |
| 320 | მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით | 1470 | | |
| 330 | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები | 1480 | | |
| 340 | გრძელვადიანი სესხები | 1510 | | |
| 350 | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | 1520 | | |
| 360 | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები | 1530 | | |
| | **II. არაფინანსური აქტივები** | | | |
| 370 | სტრატეგიული მარაგები | 1610 | | |
| 380 | სხვა მატერიალური მარაგები | 1620 | 172359 | 91129 |
| 390 | შენობა-ნაგებობები | 2110 | 992843 | 6939546 |
| 400 | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 2120 | 728795 | 575975 |
| 410 | სხვა ძირითადი აქტივები | 2130 | | 2124 |
| 420 | დაუმთავრებელი მშენებლობა | 2140 | 963299 | |
| 430 | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | 2200 | | 35 |
| 440 | ფასეულობები | 2300 | | |
| 450 | არაწარმოებული აქტივები | 2400 | | |
| | **ბალანსი** | | **5700852** | **7608810** |
| | **I. ვალდებულებები** | | | |
| 460 | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები | 3100 | | |
| 470 | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 3210 | 2499 | |
| 480 | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 3220 | | |
| 490 | ვალდებულებები ბარტერით | 3230 | | |
| 500 | გადასახდელი მოგების გადასახადი | 3241 | | |
| 510 | გადასახდელი დღგ | 3242 | | |
| 520 | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 3243 | | -72 |
| 530 | სხვა გადასახდელები | 3244 | | |
| 540 | ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით | 3245 | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 550 | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები | 3246 | | |
| 560 | შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები | 3251 | | |
| 570 | შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები | 3252 | | |
| 580 | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით | 3253 | 750 | |
| 590 | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ | 3254 | | |
| 600 | დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3255 | | |
| 610 | დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3256 | | |
| 620 | ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით | 3257 | | |
| 630 | გადასახდელი სტიპენდიები | 3258 | | |
| 640 | სოციალური დაზღვევის ანარიცხები | 3259 | | |
| 650 | ვალდებულებები დეპონენტების მიმართ | 3260 | | |
| 660 | სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3270 | | |
| 670 | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები | 3280 | | |
| 680 | გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიენებები | 3300 | | |
| | **II. კაპიტალი** | | | |
| 690 | წმინდა ღირებულება | 5100 | 5697603 | 7606881 |
| 700 | საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი | 5210 | | |
| 710 | გაუნაწილებელი მოგება | 5220 | | |
| 720 | დაუფარავი ზარალი * | 5230 | | |
| | **ბალანსი** | | **5700852** | **7608810** |
| | **III. საცნობარო მუხლები** | | | |
| 730 | საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები | 01 | | |
| 740 | პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები | 02 | | |
| 750 | გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება | 03 | | |
| 760 | ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში | 04 | 116937 | 108581 |
| 770 | პირობითი მოთხოვნები | 05 | | |
| 780 | პირობითი ვალდებულებები | 06 | | |
| 790 | საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა | 07 | | |
| 800 | ამორტიზირებული ძირითადი აქტივები | 08 | | 297023 |
| 810 | ვადაგადაცილებული დავალიანებები | 09 | | |
| 820 | ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | 10 | | 2088 |

94

ბალანსის დანართი ფორმა N2

## ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი კოდი 245424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზომის ერთეული: ლარი

| სტრ. კოდი | ხარჯების ჩამონათვალი | კოდი | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) | ფაქტობრივი ხარჯი | გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 010 | **1. ხარჯები** | 2 | 4667198 | 4663868 | 4511044 | 4511044 | 4511044 | 14025759 | 9514715 |
| 020 | **1.1 შრომის ანაზღაურება** | 21 | 2582600 | 2582600 | 2580224 | 2580224 | 2580224 | 2580152 | -72 |
| 030 | **1.1.1 ხელფასები** | 211 | 0 | 0 | 2580224 | 2580224 | 2580224 | 2580152 | -72 |
| 040 | **1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით** | 2111 | 0 | 0 | 2580224 | 2580224 | 2580224 | 2580152 | -72 |
| 050 | 1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო | 21111 | | | 1471077 | 1471077 | 1471077 | 1471005 | -72 |
| 060 | 1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო | 21112 | | | | | | | 0 |
| 070 | 1.1.1.1.3 პრემია | 21113 | | | 1109148 | 1109148 | 1109148 | 1109148 | 0 |
| 080 | 1.1.1.1.4 დანამატი | 21114 | | | | | | | 0 |
| 090 | 1.1.1.1.5 ჰონორარი | 21115 | | | | | | | 0 |
| 100 | 1.1.1.1.6 კომპენსაცია | 21116 | | | | | | | 0 |
| 110 | 1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით | 2112 | | | | | | | 0 |
| 120 | **1.1.2 სოციალური შენატანები** | 212 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 130 | 1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები | 2121 | | | | | | | 0 |

76

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 140 | 1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები | 2122 | | | | | | 0 |
| 150 | **1.2 საქონელი და მომსახურება** | **22** | **2048098** | **2044768** | **1896444** | **1896444** | **1896444** | **1603706** | **-292738** |
| 160 | 1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 221 | | | 168483 | 168483 | 168483 | 168483 | 0 |
| 170 | 1.2.1.2 მივლინებები | 222 | | | 174550 | 174550 | 174550 | 174634 | 84 |
| 180 | 1.2.1.3 ოფისის ხარჯები | 223 | | | 411249 | 411249 | 411249 | 245090 | -166159 |
| 190 | 1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები | 224 | | | 771347 | 771347 | 771347 | 785408 | 14061 |
| 200 | 1.2.1.5 კვების ხარჯები | 225 | | | | | | | 0 |
| 210 | 1.2.1.6 სამედიცინო ხარჯები | 226 | | | | | | | 0 |
| 220 | 1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 227 | | | 106798 | 106798 | 106798 | 1460 | -105338 |
| 230 | 1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი | 228 | | | 211028 | 211028 | 211028 | 220844 | 9816 |
| 240 | 1.2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები | 229 | | | | | | | 0 |
| 250 | 1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 2210 | | | 52990 | 52990 | 52990 | 7788 | -45202 |
| 260 | **1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება** | 23 | | | | | | **199335** | **199335** |
| 270 | **1.4 პროცენტი** | 24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 280 | **1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე** | **241** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 290 | 1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე | 2411 | | | | | | | 0 |
| 300 | 1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე | 2412 | | | | | | | 0 |
| 310 | 1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე | 2413 | | | | | | | 0 |
| 320 | 1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე | 2414 | | | | | | | 0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 330 | 1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა | 242 | | | | | | | 0 |
| 340 | 1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე | 243 | | | | | | | 0 |
| 350 | **1.5 სუბსიდიები** | **25** | | | | | | | 0 |
| 360 | **1.6 გრანტები** | **26** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **9608189** | **9608189** |
| 370 | **1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს** | **261** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| 380 | 1.6.1.1 მიმდინარე | 2611 | | | | | | | 0 |
| 390 | 1.6.1.2 კაპიტალური | 2612 | | | | | | | 0 |
| 400 | **1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს** | **262** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| 410 | 1.6.2.1 მიმდინარე | 2621 | | | | | | | 0 |
| 420 | 1.6.2.2 კაპიტალური | 2622 | | | | | | | 0 |
| 430 | **1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს** | **263** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **9608189** | **9608189** |
| 440 | 1.6.3.1 მიმდინარე | 2631 | | | | | | 374143 | 374143 |
| 450 | 1.6.3.2 კაპიტალური | 2632 | | | | | | 9234046 | 9234046 |
| 460 | **1.7 სოციალური უზრუნველყოფა** | **27** | **15000** | **15000** | **13953** | **13953** | **13953** | **13953** | **0** |
| 470 | **1.7.1 სოციალური დაზღვევა** | **271** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| 480 | 1.7.1.1 ფულადი ფორმით | 2711 | | | | | | | 0 |
| 490 | 1.7.1.2. სასაქონლო ფორმით | 2712 | | | | | | | 0 |
| 500 | **1.7.2 სოციალური დახმარება** | **272** | **0** | **0** | **13953** | **13953** | **13953** | **13953** | **0** |
| 510 | 1.7.2.1 ფულადი ფორმით | 2721 | | | 13953 | 13953 | 13953 | 13953 | 0 |
| 520 | 1.7.2.2. სასაქონლო ფორმით | 2722 | | | | | | | 0 |
| 530 | **1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება** | **273** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| 540 | 1.7.3.1 ფულადი ფორმით | 2731 | | | | | | | 0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 550 | 1.7.3.2. სასაქონლო ფორმით | 2732 | | | | | | | 0 |
| 560 | **1.8 სხვა ხარჯები** | **28** | **21500** | **21500** | **20423** | **20423** | **20423** | **20423** | **0** |
| 570 | **1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა** | **281** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| 580 | 1.8.1.1 დივიდენდები | 2811 | | | | | | | 0 |
| 590 | 1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები | 2812 | | | | | | | 0 |
| 600 | 1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება | 2813 | | | | | | | 0 |
| 610 | 1.8.1.4 რენტა | 2814 | | | | | | | 0 |
| 620 | **1.8.2 სხვადასხვა ხარჯები** | **282** | **0** | **0** | **20423** | **20423** | **20423** | **20423** | **0** |
| 630 | 1.8.2.1 მიმდინარე | 2821 | | | 20423 | 20423 | 20423 | 20423 | 0 |
| 640 | 1.8.2.2 კაპიტალური | 2822 | | | | | | | 0 |

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

| მაჩვენებელთა დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტით | | არასაბიუჯეტო | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წლიური გეგმით | ფაქტიურად* | წლიური გეგმით | ფაქტიურად* | | |
| 1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა | 124 | **119** | | | | |
| 2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა | | 11 | | | | |

* ფაქტიურად დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოთვიური რაოდენობის ჯამი უნდა გაიყოს საანგარიშო პეროდის თვეების რაოდენობაზე).

79

ბალანსის დანართი ფორმა N2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი კოდი 245424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზომის ერთეული: ლარი

| სტრ. კოდი | არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი | კოდი | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 010 | **1. არაფინანსური აქტივები** | **31** | **3295700** | **3295700** | **3266011** | **3266011** | **3266011** |
| 020 | **1.1 ძირითადი აქტივები** | **311** | 0 | 0 | 3266011 | 3266011 | 3266011 |
| 030 | **1.1.1 შენობა-ნაგებობები** | **3111** | 0 | 0 | **2547840** | **2547840** | **2547840** |
| 040 | 1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები | 31111 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 050 | 1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები | 31112 | | | 2547840 | 2547840 | 2547840 |
| 060 | 1.1.1.3 სხვა ნაგებობები | 31113 | | | 0 | 0 | 0 |
| 070 | **1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი** | **3112** | **0** | **0** | **704589** | **704589** | **704589** |
| 080 | 1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები | 31121 | | | 178650 | 178650 | 178650 |
| 090 | 1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 31122 | | | 525939 | 525939 | 525939 |
| 100 | **1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები** | **3113** | **0** | **0** | **13582** | **13582** | **13582** |
| 110 | 1.1.3.1 კულტივირებული აქტივები | 31131 | | | | | |
| 120 | **1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები** | 31132 | | | | | |
| 130 | 1.1.3.2.1 ლიცენზიები | 311321 | | | | | |

80

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 140 | 1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები | 311322 | | | 13582 | 13582 | 13582 |
| 170 | **1.2 მატერიალური მარაგები** | **312** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 180 | **1.2.1 სტრატეგიული მარაგები** | **3121** | | | | | |
| 190 | **1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები** | **3122** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 200 | 1.2.2.1 ნედლეული და მასალები | 31221 | | | | | |
| 210 | 1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება | 31222 | | | | | |
| 220 | 1.2.2.3 მზა პროდუქცია | 31223 | | | | | |
| 230 | 1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი | 31224 | | | | | |
| 270 | **1.3 ფასეულობები** | **313** | | | | | |
| 310 | **1.4 არაწარმოებული აქტივები** | **314** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 320 | **1.4.1 მიწა** | **3141** | 0 | 0 | 0 | | |
| 330 | **1.4.2 წიაღისეული** | **3142** | | | | | |
| 340 | **1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები** | **3143** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 350 | 1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია | 31431 | | | | | |
| 360 | 1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები | 31432 | | | | | |
| 370 | **1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები** | **3144** | | | | | |

81

ბალანსის დანართი ფორმა N2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი — კოდი 2456424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური — 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით — ზომის ერთეული: ლარი

| სტრიქონის კოდი | ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი | ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები | დამტკიცებული გეგმით | დაზუსტებული გეგმით | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 10 | **1. ფინანსური აქტივები** | 32 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 20 | **1.1 საშინაო** | 321 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 30 | 1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3212 | | | | | |
| 40 | 1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3213 | | | | | |
| 50 | 1.1.3 სესხები | 3214 | | | | | |
| 60 | 1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი | 3215 | | | | | |
| 70 | 1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3216 | | | | | |
| 80 | 1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3217 | | | | | |
| 90 | 1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები | 3218 | | | | | |
| 100 | **1.2 საგარეო** | 322 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 110 | 1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3222 | | | | | |
| 120 | 1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3223 | | | | | |
| 130 | 1.2.3 სესხები | 3224 | | | | | |
| 140 | 1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი | 3225 | | | | | |
| 150 | 1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3226 | | | | | |
| 160 | 1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3227 | | | | | |
| 170 | 1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები | 3228 | | | | | |
| 180 | **1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება** | 323 | | | | | |
| 190 | **2. ვალდებულებები** | 33 | 0 | 0 | 3249 | 3249 | 3249 |
| 200 | **2.1 საშინაო** | 331 | 0 | 0 | 3249 | 3249 | 3249 |

82

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 210 | 2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3312 | | | | | |
| 220 | 2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3313 | | | | | |
| 230 | 2.1.3 სესხები | 3314 | | | | | |
| 240 | 2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები) | 3315 | | | | | |
| 250 | 2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3316 | | | | | |
| 260 | 2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3317 | | | | | |
| 270 | 2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები | 3318 | | | 3249 | 3249 | 3249 |
| 280 | **2.2 საგარეო** | **332** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 290 | 2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3322 | | | | | |
| 300 | 2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3323 | | | | | |
| 310 | 2.2.3 სესხები | 3324 | | | | | |
| 320 | 2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები) | 3325 | | | | | |
| 330 | 2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3326 | | | | | |
| 340 | 2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3327 | | | | | |
| 350 | 2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები | 3328 | | | | | |

ბალანსის დანართი ფორმა N3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი კოდი 245424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ზომის ერთეული: ლარი

| ანგარიშის N | დებეტი | თანხა | ანგარიშის N | კრედიტი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | 0 | | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | 5697603 |
| 7100 | მომუშავეთა ანაზღაურება | 2580152 | 4100 | ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | 7780304 |
| 7200 | საქონელი და მომსახურება | 1603706 | 4200 | ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად | |
| 7300 | ძირითადი კაპიტალის მოხმარება | 199335 | | | |
| 7310 | მ. შ. ფიზიკური ცვეთა | 199335 | 6000 | შემოსავლები | 121991 |

83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7400 | პროცენტი | 0 | 6300 | მ. შ. გრანტები | 121991 |
| 7500 | სუბსიდიები | 0 | | | |
| 7600 | გრანტები | 9608189 | | | |
| 7700 | სოციალური უზრუნველყოფა | 13953 | | | |
| 7800 | სხვა ხარჯები | 20423 | | | |
| | აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა | 808221 | | აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება | 8867586 |
| 1300-1400 | ფინანსური აქტივები | | 1300-1400 | ფინანსური აქტივები | |
| 3000 | ფინანსური ვალდებულებები | 1852 | 3000 | ფინანსური ვალდებულებები | |
| 1600-2000 | არაფინანსური აქტივები | 806369 | 1600-2000 | არაფინანსური აქტივები | 8867586 |
| 8000 | **სხვა ეკონომიკური ნაკადები** | 24622 | 8000 | **სხვა ეკონომიკური ნაკადები** | 0 |
| 3245 | ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლ. საკასო შესრულებით | 0 | | | |
| 3246 | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები * | 1852 | | | |
| | **სადებეტო ბრუნვა** | 14858602 | | **საკრედიტო ბრუნვა** | 16769880 |
| - | **სულ ჯამი** | 14858602 | - | **სულ ჯამი** | 22467483 |
| - | **ნაშთი პერიოდის ბოლოს** | 0 | - | **ნაშთი პერიოდის ბოლოს** | *7608881* |

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება სახელმწიფოს სახელით გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთს წლის დასაწყისისათვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთს წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

84



ბალანსის დანართი ფორმა N5

## ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი

კოდი 245424090

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური — 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით — ზომის ერთეული: ლარი

| სტრ. კოდი | არაფინანსური აქტივების დასახელება | ნაშთი წლის დასაწ | მიღება | | | | გასვლა | | | | | ნაშთი წლის პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესყიდვით | იმავე დონის სახ.ერთ.უსასყ | გრანტებით | საკუთარი სახსრებით | იმავე დონის სახ.ერთ.უსასყ | გრანტებით | სხვა ეკ.ნაკადებით | ძირით. კაპიტ. მოხმარ. | საქონ. და მომსახ. | |
| 010 | 1. მატერიალური მარაგები | 172359 | 678275 | 13366 | 0 | 0 | 12457 | 90799 | 3293 | 0 | 666321 | 91129 |
| 020 | 1.1. სტრატეგიული მარაგები | | | | | | | | | | | 0 |
| 030 | 1.2. სხვა მატერიალური მარაგები | 172359 | 678275 | 13366 | 0 | 0 | 12457 | 90799 | 3293 | 0 | 666321 | 91129 |
| 040 | 1.2.1. ნედლეული და მასალები | | | | | | | | | | | 0 |
| 050 | 1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება | | | | | | | | | | | 0 |
| 060 | 1.2.3 მზა პროდუქცია | | | | | | | | | | | 0 |
| 070 | 1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი | | | | | | | | | | | 0 |
| 080 | 1.2.5 ფულადი დოკუმენტები | 21245 | 141572 | | | | | | | | 150954 | 11862 |
| 090 | 1.2.6 სათადარიგო ნაწილები | 3599 | 56971 | | | | 0 | | | | 57175 | 3395 |
| 100 | 1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები | 147515 | 479732 | 13366 | | | 12457 | 90799 | 3293 | | 458192 | 75872 |
| 110 | 2. ძირითადი აქტივები | 1721638 | 718171 | 8854219 | 121990 | 6350248 | 793911 | 9234046 | 21330 | 199335 | 0 | 7517645 |
| 120 | 2.1 შენობა-ნაგებობები | 992843 | 0 | 6906514 | 0 | 6350248 | 597360 | 6642592 | 0 | 70107 | 0 | 6939546 |
| 130 | 2.1.1 საცხოვრებელი შენობები | | | | | | | | | | | 0 |
| 140 | 2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები | 992843 | | 6,906,514 | | 6350248 | 597360 | 6642592 | | 70107 | | 6939546 |
| 150 | 2.1.3. საგზაო მაგისტრალები | | | | | | | | | | | 0 |
| 160 | 2.1.4 ქუჩები | | | | | | | | | | | 0 |
| 170 | 2.1.5 გზები | | | | | | | | | | | 0 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 180 | 2.1.6 ხიდები | | | | | | | | | | | 0 |
| 190 | 2.1.7 გვირაბები | | | | | | | | | | | 0 |
| 200 | 2.1.8 გაყვანილობის სისტემები | | | | | | | | | | | 0 |
| 210 | 2.1.9 სხვა ნაგებობები | | | | | | | | | | | 0 |
| 220 | 2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 728795 | 704589 | 1947705 | 121990 | 0 | 196551 | 2580232 | 21330 | 128992 | 0 | 575975 |
| 230 | 2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები | 541424 | 178650 | 1945576 | 109596 | | 173534 | 2076160 | | 78139 | | 447413 |
| 240 | 2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვეტარი | 187371 | 525939 | 2129 | 12394 | | 23017 | 504072 | 21330 | 50853 | | 128562 |
| 250 | 2.3 სხვა ძირითადი აქტივები | 0 | 13582 | 0 | 0 | 0 | 0 | 11222 | 0 | 236 | 0 | 2124 |
| 260 | 2.3.1 კულტივირებული აქტივები | | | | | | | | | | | 0 |
| 270 | 2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები | | 13582 | | | | | 11222 | | 236 | | 2124 |
| 280 | 2.4 დაუმთავრებელი მშენებლობა | | | | | | | | | | | 0 |
| 290 | 3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | | 285467 | | | | | 283345 | | | 2088 | 35 |
| 300 | 4. ფასეულობები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 310 | 4.1. ძვირფასი ქვები და ლითონები | | | | | | | | | | | 0 |
| 320 | 4.2. ხელოვნების ნიმუშები | | | | | | | | | | | 0 |
| 330 | 4.3. სხვა ფასეულობები | | | | | | | | | | | 0 |
| 340 | 5. არაწარმოებული აქტივები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 350 | 5.1 მიწა | | | | | | | | | | | 0 |
| 360 | 5.2 წიაღისეული | | | | | | | | | | | 0 |
| 370 | 5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები | | | | | | | | | | | 0 |
| 380 | 5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები | | | | | | | | | | | 0 |

# ანგარიშგების ფორმები

86

ბალანსის დანართი ფორმა #6

## ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის არ მთავრობის აპარატი — კოდი: 245424090

პერიოდულობა: წლიური — 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით — ზომის ერთეული: ლარი

| # | დასახელება | საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა) | | საანგარიშო პერიოდში მიღება | | საანგარიშო პერიოდში გასვლა | | საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო) | | | | საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეძენა | სხვა სახით მიღება | ექსპლუატაციიდან გასული | სხვა სახით გასული | | | | | | | | |
| | | მუშამდგომარეობაში | არამუშამდგომარეობაში | რაოდენობა | რაოდენობა | რაოდენობა | რაოდენობა | სულ ხარჯი | მ.შ. შეკეთება | მ.შ. საწვავი | მ.შ. სათადარიგო ნაწილი | სულ ხარჯი | მ.შ. შეკეთება | მ.შ. საწვავი | მ.შ. სათადარიგო ნაწილი |
| 1 | **სატრანსპორტო საშუალება სულ:** | **15** | | **4** | **3** | **0** | **10** | **211028** | **6821** | **141572** | **62635** | **220844** | **6821** | **150954** | **63069** |
| 1.1 | მ.შ მსუბუქი | 12 | | 1 | 2 | | 4 | | 4303 | 141572 | 39190 | | 4303 | 150954 | 39624 |
| 1.2 | ჯიპები და პიკაპები | 2 | | 3 | 1 | | 5 | | 2393 | | 23310 | | 2393 | | 23310 |
| 1.3 | სატვირთო (მინი ბუსი) | 1 | | | | | 1 | | 125 | | 135 | | 125 | | 135 |
| 2 | **მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ:** | **138** | **22** | **7** | **6** | **28** | **3** | **2227.3** | **2227** | **0.00** | **0.00** | **2227.3** | **2227** | **0.00** | **0.00** |
| 2.1 | მობილური ტელეფონები | 37 | 8 | 4 | 2 | 14 | 1 | | | | | | | | |
| 2.2 | ტელევიზორები | 30 | 4 | | | 4 | | | | | | | | | |
| 2.3 | კომპიუტერები | 71 | 10 | 3 | 4 | 10 | 2 | | 2227 | | | | 2227 | | |